2019 წლის ეროვნული ანგარიში გეი კაცების, სხვა მსმ-ების და ტრანს* ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ

EQUALITY MOVEMENT

2019 წლის ეროვნული ანგარიში

გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა

და ტრანს* ადამიანების

უფლებების დარღვევის შესახებ

2019 წლის ეროვნული ანგარიში გეი კაცების, სხვა MSM-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ.

ანგარიში მომზადდა ანა აფციაურისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ.

ანგარიში მომზადდა „ევრაზიული კოალიცია კაცების ჯანმრთელობისთვის“ (ECOM) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს კოალიციის პოზიციას.

„თანასწორობის მოძრაობა“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი ადამიანებისა და ქალებისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნას; ლგბტ+ თემისა და ქალების გაძლიერებით, ლგბტქ და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებით და მათი ინტერესების ადვოკატირებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ლგბტ+ თემისა და ქალთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. ამრიგად, „თანასწორობის მოძრაობა“ უზრუნველყოფს სოციალურ და სამართლებრივ სერვისებს ლგბტ+ თემისა და ქალების გაძლიერებისა და მობილიზაციისთვის, აგრეთვე ჩართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში და ახორციელებს პოლიტიკის ადვოკატირებას.

http://www.equality.ge/

https://www.facebook.com/equalitymovementgeorgia/

აბრევიატურა

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

შიდსი - შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი

ლგბტ+ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და სხვა ქვიარ ადამიანები

ქვიარი - ქოლგა ტერმინი, აღნიშნავს არაჰეტერონორმატიულ ადამიანს

MSM - მამაკაცები, რომლებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან

სექსუალური ორიენტაცია - ადამიანის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური ან/და სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ

გენდერული იდენტობა - სოციალური ან/და კულტურული კონსტრუქცია, ადამიანის გენდერული თვითაღქმა. ადამიანი შეიძლება საკუთარი თავის აღქმას ახდენდეს მამაკაცად ან ქალად და აღნიშნული შესაძლებელია იყოს, ან არც იყოს მისი დაბადების სქესთან თანხმობაში.

ტრანსგენდერი* ადამიანები - ადამიანები, რომელთა გენდერული იდენტობა ან გენდერული გამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესისგან

სოგი - სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ინტერსექსი - ადამიანები, რომელთაც თანდაყოლილი აქვთ სქესობრივ მახასიათებელთა - ქრომოსომების, გონადების, სასქესო ჰორმონების ან გენიტალიების - სხვადასხვა ვარიაციები, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის განსაზღვრებით, „არ შეესაბამება მამრი ან მდედრი სხეულის ტიპურ განსაზღვრებებს“

შსს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ECOM - მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიული კოალიცია

სარჩევი

შესავალი.....5

1. კვლევის მეთოდოლოგია.....6

2. ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზი.....7

3. ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევები.....16

4. დასკვნა.....36

5. რეკომენდაციები.....37

შესავალი

უკანასკნელ წლებში კანონმდებლობაში გადადგმული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევები, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები და დოკუმენტირებული შემთხვევები ამტკიცებს, რომ ჰომო- და ტრანს*ფობიური დისკრიმინაცია, აგრეთვე, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

პრაქტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს, რომ გეი კაცებს, სხვა მსმ-ებსა და ტრანს* ადამიანებს სხვათა თანასწორად არ შეუძლიათ საერთაშორისო სამართლით, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული უფლებებით, მათ შორის, ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობა. ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის პირობებში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ლგბტ+ ადამიანები განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, ბულინგს, ოჯახში ძალადობას.[1] ბევრ შემთხვევაში დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად ლგბტ+ ადამიანები იძულებულნი ხდებიან ქვეყანა დატოვონ და თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით რომელიმე ევროპულ ქვეყანაში გადავიდნენ.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში. დოკუმენტში წარმოდგენილია კანონმდებლობის ანალიზი და ინფორმაცია ლგბტ+ ადამიანების უფლებების დარღვევის დოკუმენტურ შემთხვევზე. ანგარიშის დასკვნით ნაწილში კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებულია ცალკეული რეკომენდაციები.

[1] . დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ, გვ. 17 https://women.ge/data/docs/publications/WISG_discrimination_and_hate_crime_against_lgbt_persons_KA_EN_2015.pdf

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს. ანგარიშის მომზადებისას ძირითად წყაროს წარმოადგენდა საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი. ამდენად, სამაგიდო კვლევის ფარგლებში შეფასებული იქნა არსებული კანონმდებლობა და მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკა.

კვლევაში გამოყენებულია პასუხისმგებელი უწყებებიდან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა) გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. დამატებით წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები, შეფასებები, დოკუმენტირებული შემთხვევები. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფილი შეფასებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, „აკრძალულია დისკრიმინაციის რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. მიუხედავად იმისა, რომ ჩამონათვალში სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ნახსენები არ არის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მე-11 მუხლის „მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა..“.[2]

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი ფართოდ განმარტა და აღნიშნა, „მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციით განსაზღვრული ნიშნების ჩამონათვალში, არსებითად თანასწორი პირების ნებისმიერი დიფერენცირება აღნიშნული ნიშნის საფუძველზე შეფასებადია თანასწორობის ძირითად უფლებასთან მიმართებით“.[3]

აღსანიშნავია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, გენდერი არის სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და

[2] . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N2/1-392 საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთიკო ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

[3] . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.[4] გამომდინარე იქიდან, რომ კანონი არ ითვალისწინებს აღსრულების მექანიზმს, ის დეკლარაციული ხასიათისაა. გარდა ამისა, კანონი არ არის ლგბტ+ მორგებული ადამიანების სპეციალურ საჭიროებებზე და დიდწილად მხოლოდ ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების თანასწორად უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიუხედავად.[5] დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.[6]

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ამოცანებს საქართველოში თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგის, აგრეთვე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ადამიანის უფლებების სფეროსა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციის მიმართ ბრძოლისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, პრაქტიკაში პრობლემად კანონის აღსრულების საკითხი რჩება. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველი გამოსცემს რეკომენდაციას,[7] აგრეთვე, ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას/პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.[8]

---

[4] . საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“

[5] . საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 1

[6] . იქვე, მუხლი 6, პუნქტი 1

[7] . იქვე, მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ“

[8] . იქვე, მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ“

ფაქტობრივად, არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც სახალხო დამცველი დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების შესრულებას აიძულებს. არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია არაეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს კანონით დადგენილი მიზნების განხორციელებას, რის გამოც, საბოლოო ჯამში, კანონი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს სახალხო დამცველისთვის საჩივრით/განცხადებით მიმართვის ვადებს, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. პირს, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს თავს შეუძლია სახალხო დამცველს მიმართოს დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებიდან ან გამოვლენიდან ნებისმიერ ვადაში.

ამასთან, კანონი არ არეგულირებს სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვისა და დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელი პირისთვის რეკომენდაციით/ზოგადი წინადადებით მიმართვის ვადებს. დისკრიმინაციის მსხვერპლის ინტერესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კანონში გაიწეროს ვადა, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველმა უნდა დაასრულოს საქმის წარმოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს დისკრიმინაციის, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინალიზებას. სსკ-ის 142-ე მუხლი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აცხადებს. მუხლის მიზნებისთვის, დისკრიმინაცია არის ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო ან სხვა ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დამამძიმებელს გარემოებებს. 2012 წელს სასჯელის დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალს სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა დაემატა. თუმცა,

საკანონმდებლო რეგულირების მიუხედავად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დანაშაულის კვალიფიკაცია და სამართალდამცავ სისტემაში არსებული ჰომო- და ტრანს*ფობიური განწყობები, აგრეთვე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა და მგრძნობელობა.

გარდა ამისა, შსს-ს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას ცალკე არ გამოყოფს სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებებს. დანაშაულთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავება წარმოებს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების (როდესაც თვითონ მუხლის დისპოზიცია განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენის ნიშნებს) და არა დანაშაულის გარემოებათა მიხედვით.[9]

2019 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდში, სხვადასხვა ძალადობრივ დანაშაულებზე დაწყებულ და მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა დააიდენტიფიცირა 50-მდე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, 200-მდე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც, სავარაუდოდ, ჩადენილია გენდერული ნიშნით და 50-მდე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილია გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.[10]

მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის მოტივი აისახება პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში, რომელსაც გამოსცემს საქმის პროკურორი. აღსანიშნავია, რომ 2016-2019 წლების პერიოდში გაზრდილია სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები. 2016 წელს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ დაწყებულა; 2017 წელს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ; 2018 წელს

[9] . საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 3 დეკემბრის წერილი
[10] . იქვე

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ.[11]

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ; გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ.[12]

სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობის გამო, უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც, ერთი მხრივ, ართულებს უწყებებს შორის კოორდინაციას, ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლებელს ხდის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრას.

პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური ძალების მხრიდან ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და ქვიარ ადამიანების ინსტრუმენტალიზაცია. ხშირია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ ლგბტ+ უფლებების პოლიტიკური ძალაუფლების გამყარებისთვის გამოყენების ტენდენცია. როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური ძალები არ ერიდებიან თემის უფლებებით მანიპულირებას. გარდა ამისა, ლგბტ+ ადამიანების უფლებები განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში გამუდმებით ხდება მანიპულაციისა და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური და ტრანს*ფობიური სენტიმენტების გაღვივების ხარჯზე პოლიტიკური ძალაუფლების მოხვეჭის საგანი.[13]

[11] . საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 17 დეკემბრის წერილი
[12] . საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 17 დეკემბრის წერილი
[13] . „თანასწორობის მოძრაობის“ 2019 წლის 6 ივნისის განცხადება „ღირსების მარშთან“ დაკავშირებით

ამ მიმართულებით, კანონმდებლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი“. კოდექსის მიხედვით, პარლამენტის წევრი საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თანასწორობის ძირითადი პრინციპით, რომლის თანახმადაც, ის პატივისცემით ექცევა სხვა პარლამენტის წევრებსა და მოქალაქეებს; იგი რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის ან სხვა ნიშნით განსაზღვრული უმცირესობების მიმართ არ იყენებს სიძულვილის ენას.[14] გარდა ამისა, დეპუტატისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება.[15]

საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევებს შეისწავლის და მონიტორინგს უწევს პარლამენტის ეთიკის საბჭო.[16] საბჭოს მიერ კოდექსის დარღვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება იმ პარლამენტის წევრის სახელი და გვარი, რომელმაც დაარღვია კოდექსი, აგრეთვე, დარღვევის მოკლე აღწერა. დარღვევის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდება შესაბამისი პარლამენტის წევრის მოწვევის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდის არქივში ინახება.[17] დეპუტატის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს.

ეთიკის კოდექსის მიღება ცალსახად დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭო პარლამენტის 2019 წლის 19 მარტის დადგენილებით შეიქმნა და ამჟამად, ის პარლამენტის 14 წევრისგანაა დაკომპლექტებული,[18]

[14]. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის“ შესახებ, მუხლი 2, პუნქტი „ბ“, ქვეპუნქტი „ბ.გ“
[15] . იქვე, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ო“
[16] . იქვე, მუხლი 4, პუნქტი 2
[17] . ეთიკის საბჭოს დებულება, მუხლი 11, პუნქტი 4
[18] . ინფორმაცია იხილეთ ბმულზე, http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/etikis-sabcho/sabchos-wevrebi

დებულებისა[19] და სხვადასხვა დოკუმენტის[20] არარსებობის მიზეზით, საბჭო პრაქტიკულად ვერ ახორციელებდა უფლებამოსილებას.[21]

გამოწვევად რჩება ერთი და იმავე სქესის პირებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს არ ეკისრება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების რეგულირების ვალდებულება, შეთანხმების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.[22]

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციაში შეიცვალა ქორწინების შესახებ ჩანაწერი. კონსტიტუციის მიღების დღიდან ქორწინება განისაზღვრებოდა, როგორც უფლებრივ თანასწორობასა და ნებელობაზე დაფუძნებული მეუღლეთა კავშირი.[23] 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციურმა კანონმა უარი თქვა ნეიტრალურ, ზოგად ჩანაწერზე და ქორწინების უფლება ახლებულად ჩამოაყალიბა, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით.[24]

პრობლემად რჩება შიდსის შეყრის კრიმინალიზება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შიდსის შეყრის შემადგენლობის ცალკე მუხლით[25] მოწესრიგება ხელს უწყობს აივ ინფექცია/შიდსის მიმართ არსებული სტიგმის გავრცელებასა და განმტკიცებას, აძლიერებს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს აივ–დადებითი ადამიანების მიმართ. გარდა ამისა, შიდსის შეყრის კრიმინალიზება აფერხებს აივ ინფექციის/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის პროცესის განვითარებას, მათ შორის, ხელს უშლის ადამიანებს ჩაიტარონ ტესტირება და გაამჟღავნონ თავიანთი სტატუსი და

[19] . ინფორმაცია იხილეთ ბმულზე, http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/etikis-sabcho/sabchos-debuleba

[20] . ინფორმაცია იხილეთ ბმულზე, http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/etikis-sabcho/specialuri-formebi

[21] . შენიშვნა: ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის არ არსებობს საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის პრაქტიკა

[22] . „თანასწორობის მოძრაობა“, სამოქალაქო პარტნიორობის კვლევა, 2019 წ, გვ. 41 http://www.equality.ge/4679#_ftn1

[23] . საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტოს რედაქცია, მუხლი 36, პუნქტი 1

[24] . საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, პუნქტი 1

[25] . საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 131

შესაძლოა უარყოფითად ზემოქმედება მოახდინოს ჯანმრთელობის ძირითად სოციალურ დეტერმინანტებზე.[26]

2009 წლის 17 ნოემბრის საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის საპასუხო ღონისძიებების ძირითად პრინციპებს, ფიზიკურ პირთა აივ ინფექციაზე ტესტირების, აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა და მოვლის, მათზე ზრუნვის საკითხებს, აგრეთვე, აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა და მედიცინის მუშაკთა უფლება-მოვალეობებს.[27] კანონის მოქმედი რედაქცია პრობლემურია ბევრი მიმართულებით. მასში წარმოდგენილია ზოგადი, დეკლარაციული ხასიათის ნორმები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს აივ ინფექცია/შიდსის ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას და რიგ შემთხვევაში ხელს უწყობს და აძლიერებს აივ-დადებითი სტატუსის მქონე პირების მიმართ არსებულ სტიგმას. კანონი პაციენტის უფლებების, განსაკუთრებით პირადი ცხოვრების უფლებისა და კონფიდენციალობის დასაცავად საკმარის გარანტიებს არ ადგენს.

2019 წლის 17 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ , რომლითაც სასამართლომ შეცვალა მსმ ადამიანებისთვის სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციასთან დაკავშირებული მავნე პრაქტიკა. მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65[1] მუხლის „ე“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, მსმ ქცევა სისხლისა და მისი კომპონენტების უანგარო დონორობის შეზღუდვის საფუძველია უკანასკნელი სქესობრივი კონტაქტიდან 10 წლის განმავლობაში. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იმეორებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს, რომელიც მსმ-ებს დონაციის

[26] . გზამკვლევი ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე, გვ. 126 https://www.osgf.ge/files/2014/publications/Book_WEB.pdf,

[27] . საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ მუხლი 1, პუნქტი 2

უფლებას უზღუდავდა უვადოდ. შესაბამისად, სადავო ნორმა სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნო.[28]

ტრანსგენდერი ადამიანებისთვის გამოწვევად რჩება გენდერის სამართლებრივი აღიარება. საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის. გარდა ამისა, არ არსებობს საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ჩამოთვლის იმ დოკუმენტებს, რომელთა წარდგენაც სავალდებულოა სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის შესაცვლელად. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ტრანსგენდერ ადამიანებს სამოქალაქო აქტებში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში ცვლილებების შეტანაზე უარს იმ მოტივით ეუბნებიან, რომ ისინი სააგენტოში არ წარადგენენ სამედიცინო ცნობას სქესის ქირურგიული შეცვლის შესახებ.

ამდენად, მართალია ზოგადი შეფასებით საქართველოს კანონმდებლობა არ არის დისკრიმინაციული, თუმცა საკანონმდებლო დონეზე კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც ლგბტ+ ადამიანებს სხვა ადამიანების თანასწორად უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას უზღუდავს.

[28] . შენიშვნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2020 წლის 31 მარტამდე

ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევები

საქმე № 1

2019 წლის 16 იანვარს „თანასწორობს მოძრაობას“ სამართლებრივი დახმერებისთვის მომართა დ.გ-მას, რომელსაც ქ. რუსთავში მდებარე საათოიაქო ქსელის „ᲠᲡᲠ“ ერთ-ერთ ფილიალში ჰომოფობიური მოტივით მომსახურებაზე უარი ეთქვა.

დ.გ-ს სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია. ორგანიზაციამ შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტს მიმართა, რომელმაც დაიწყო საქმის წარმოება. საქმეზე დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. რუსთავი

პოტენციური დამრღვევი პირი: იურიდიული პირი (ფილიალი) და ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 2

2019 წლის 14 აპრილს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა გ.მ-მ, რომელიც არის გეი მამაკაცი. მას სუპერმარკეტების ქსელ „ორ ნაბიჯში“ მუშაობის დაწყება სურდა. სტაჟირების გავლის შემდეგ, გასაუბრების ეტაპზე გ.მ-ს მოსთხოვეს ჯანმრთელობის მდგომარეების შესახებ ცნობის (ფორმა № 100) წარდგენა, რომლითაც გაირკვა მისი აივ-დადებითი სტატუსი. ამის შემდეგ გ.მ-ს უარი ეთქვა დასაქმებაზე.

გ.მ-ს აზრით, დასაქმებაზე უარი დისკრიმინაციული მოტივით უთხრეს. ორგანიზაციისთვის მიმართვის შემდეგ, მას გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება, შრომის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: ჯანმრთელობის მდგომარეობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: იურიდიული პირი (ფილიალი)

საქმის სტატუსი: შეჩერებული, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის შემდეგ, გ.მ-მ უარი განაცხადა შესაბამის უწყებებში საქმის წარმოებაზე.

საქმე № 3

2019 წლის 7 აგვისტოს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ო.ა-მ, რომელიც დასაქმებულია რესტორანში მენეჯერის პოზიციაზე. მის სამსახურში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს ჰქონდა აივ ინფექცია, რის შემდეგაც კადრების განყოფილებამ ყველა თანამშრომელს მოსთხოვა აივ-ტესტის გაკეთება.

ო.ა-მ იურისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ უარი განაცხადა აივ-ტესტირებაზე.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: ჯანმრთელობის მდგომარეობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: იურიდიული პირი

საქმის სტატუსი: შეჩერებული, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის შემდეგ, ო.ა-მ განაცხადა, რომ დააკვირდება სამუშაო ადგილზე მოვლენების განვითარებას და შემდგომ გადაწყვეტს გამოიყენოს თუ არა შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები.

საქმე № 4

2018 წლის 4 იანვარს „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართა ნ.წ-მ, რომელმაც განაცხადა, რომ თბილისის ერთ-ერთ ბარში ჰომოფობიური მოტივით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ორგანიზაციის დახმარებით ნ.წ-მ პოლიციას მიმართა, სადაც მომხდართან დაკავშირებით გამოიკითხა. ინციდენტში მონაწილე პირებს გაფრთხილება მიეცათ.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: დასრულებული, საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

საქმე № 5

2019 წლის 15 იანვარს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა გ.ზ-მ, რომლის მიმართაც 2018 წლის 3 ნოემბერს ჰომოფობიური მოტივით ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ გ.ზ-მ მოძალადეს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

„თანასწორობის მოძრაობამ“ გ.ზ-ს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია. ბენეფიციარმა დაცვის უფლებით ისარგებლა გამოკითხვის, სასამართლოში პირველი წარდგენის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისა და წინასასამართლო სხდომების მიმდინარეობისას.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 6

2019 წლის 1 თებერვალს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა დ.გ-მ, რომელსაც რუსთავში, თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს თავს დაესხა ორი პირი. თავდამსხმელებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტის დროს თავდამსხმელები დისკრიმინაციულ და სიძულვილის ენას იყენებდნენ, დ.გ-ს მიმართავდნენ ჰომოფობიური ტერმინით- „პიდარასტო“.

ინციდენტში მონაწილე ორი პირიდან ერთ-ერთი არასრულწლოვანი იყო. საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ძალადობა ჯგუფურად). დ.გ-ს სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია და გამოკითხვის პროცესში ადვოკატის მომსახურებით ისარგებლა.

გამოძიების შედეგად დადგენილი იქნა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირების ვინაობა. მათგან ერთს ბრალი წარედგინა. ამჟამად, საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. რუსთავი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 7

2019 წლის 15 თებერვას ლ.ტ, რომელიც არის გეი მამაკაცი მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა მის ეთნიკურად ირანელ მეგობართან ერთად, რა დროსაც წინ მიმავალი ორი ადამიანი თავს დაესხა. ლ.ტ-ს და მის მეგობარს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. თავდამსხმელები დისკრიმინაციულ, ჰომოფობიურ და სიძულვილის ენას იყენებდნენ. ლ.ტ-ს ეუბნებოდნენ, რომ ის იყო „პიდარასტი", რის გამოც მას არ უნდა ეცოცხლა და მოკვლას იმსახურებდა. ინციდენტის შედეგად ლ.ტ-მ მიიღო სხეულის დაზიანება, კერძოდ, დაუზიანდა კბილები, ხელის ცერა თითი, აგრეთვე, აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთი.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) დაიწყო. ლ.ტ-ს ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ბენეფიციარმა სამართლებრივი სერვისით ისარგებლა გამოკითხვის პროცესში.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე, საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია გაეგზავნა სახალხო დამცველის აპარატს. „თანასწორობის მოძრაობამ" წერილობითი განცხადებით მიმართა საქმის ზედამხედველ პროკურორს, რათა საქმეზე ჰომოფობიური მოტივი გამოიკვეთოს.

საქმე № 8

2019 წლის 11 მარტს ვ.კ-ს და ლ.ბ მოძრაობდნენ მანქანით ვარაზისხევში, რა დროსაც შელაპარაკება მოუვიდათ წინ მიმავალი ავტომანქანის მძღოლთან, რომელმაც საავარიო სიტუაცია შექმნა. შელაპარაკების შემდეგ, წინ მიმავალი მანქანა გაჩერდა და ლ.ბ-ს და ვ.კ-ს გზა გადაუღობა, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ ავტომობილი

გაეჩერებინათ. ამის შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა სამი პირი და ლ.ბ-ს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლ.ბ-ს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ვინაიდან სწრაფად განვითარდა მოვლენები და მან ვერ მოასწრო მანქანიდან გადასვლა. თავდამსხმელები ჰომოფობიურ და სიძულვილის ენას იყენებდნენ, ამბობდნენ, რომ პარიკიან „პიდარასტებს“ არ უნდა ესწავლებინათ მათთვის ჭკუა და „პიდარასტების“ ადგილი ქვეყანაში არ იყო. ინცინდენტის შედეგად ლ.ბ-ს მიადგა ფიზიკური დაზიანება.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო. ლ.ბ-ს ჩუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, მათ ისარგებლეს ადვოკატის მომსახურებით გამოკითხვისა და ამოცნობის პროცესში. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულ პირებს ბრალი წაეყენათ. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 9

ბ.ა არის ტრანსგენდერი ქალი, რომელმაც 2019 წლის 5 მარტს ფეისბუქით მიიღო ნ.ფ-ს შეტყობინება, რომელიც შეიცავდა ბ.ა-ს პირადი ხასიათის ფოტოსურათებს. ფოტოსურათებზე ბ.ა-ს ქალის ტანსაცმელი ეცვა და თავისი გენდერული იდენტობის შესაბამისად გამოიყურებოდა.

როგორც ბ.ა განმარტავდა, რომ მისი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღვნებას, მათ შორის, პირადი ხასიათის ფოტოსურათების უნებართვოდ გავრცელებას შეიძლება პრობლემები შეექმნა მის სამუშაო ადგილზე.

აღნიშნულ საქმეზე 2019 წლის 8 მარტს განცხადება გაეგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2019 წლის 18

მარტის გადაწყვეტილებით, განცხადება არ იქნა მიღებული განსახილველად. ინსპექტორის შეფასებით, განცხადებაში მითითებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. შსს-მ მხარეთა გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ აღნიშნული ქმედება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 10

2019 წლის 1 აპრილს „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად მომართა ს.შ-მ, რომლის არასრულწლოვანი შვილიც ლგბტ+ თემის წევრია. ს.შ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მისი მეუღლე ძალადობს მასზე და მის არასრულწლოვან შვილზე. ძალადობის მიზეზი ბავშვის ფემინურობა იყო. მამა მას მუდმივად აკონტროლებდა, უზღუდავდა ტექნიკური საშუალებებისა და ინტერნეტის გამოყენებას, ასევე ფიზიკურად ძალადობდა.

ს.შ-ს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია, თუმცა მან უარი განაცხადა პოლიციასთან თანამშრომლობაზე.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 11

2019 წლის 4 აპრილს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ლ.მ-მ, რომელიც არის გეი მამაკაცი. იგი იმოსება გოთურად, ასევე სხვადასხვა ფერად იღებავს თმას. 2019 წლის 24 მაისს თბილისში ლეონიძის ქუჩაზე უცნობმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მან მიმართა პოლიციას. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, 2019 წლის 31 მაისს ლ.მ-ს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

პოლიციამ ვერ დაადგინა დანაშაულის ჩამდენი პირები, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა). ლ.მ-ს სამართლებრივი კოსულტაცია გაეწია და ადვოკატის მომსახურებით ისარგებლა გამოძიების დროს განხორციელებულ სხვადასხვა მოქმედებებსა და დაზარალებულად ცნობისას.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 12

2019 წლის 30 აპრილს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა გ.კ-მ, რომელიც არის გეი მამაკაცი. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ის იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ასევე ჰქონდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, მათ შორის, აივ ინფექცია.

გ.კ-ს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია, რის შემდეგაც ორგანიზაციის იურისტებმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. გ.კ-ს ოჯახის წევრის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]

მუხლით (ოჯახში ძალადობა). ბენეფიციარი მოთავსებულ იქნა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 13

2019 წლის 20 აპრილს ორ გეი მამაკაცს- ლ.ბ-ს და გ.თ-ს კლუბ „ხიდთან" მათთვის უცნობმა პირებმა, მას შემდეგ, რაც მათ გაიგეს, რომ კლუბში იმართებოდა ქვიარ-ივენთი და ვერ შეძლებდნენ მასზე დასწრებას, ჰომოფობიური მოტივით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა). საგამოძიებო მოქმედებების შედეგად იდენტიფიცირებული იქნა ორი პირი, რომელიც თავდასხმაში მონაწილეობდა. მათ აღკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ- 8000 და 1000 ლარის ოდენობით. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 14

2019 წლის 1 მაისს ქ.რუსთავში, არასრულწლოვან გეი ბიჭს გ.ფ-ს, უცნობმა პირმა სიძულვილის მოტივით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ნახა გ.ფ-ს ვიდეო ჩანაწერი, სადაც გ.ფ აკრიტიკებდა პატრიარქს.

გ.ფ-ს მიმართვის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 ნაწილით (ძალადობა). გამოძიების მიერ მოხდა აღნიშნული პირის იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მას წარედგინა ბრალი. რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით, რომელიც პირობით მსჯავრად ჩაეთვალა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. რუსთავი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 15

2019 წლის 5 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „თანასწორობის მოძრაობის“ სარჩელი, რომლითაც გეი ბიჭი მამას სახლის წართმევას ედავებოდა.

სადავო ქონება ბაბუამ თავის არასრულწლოვან შვილიშვილს 5 წლის წინ აჩუქა. მას შემდეგ, რაც გაიგეს მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ეს ქონება მამამ, ბაბუამ და მამიდამ, ჯერ ბაბუის სახელზე გადააფორმეს, შემდეგ კი- მამიდაზე.

სასამართლომ ბათილად ცნო ჩუქების ხელშეკრულებები, რომლითაც მამამ, როგორც კანონიერმა წარმომადგენელმა, არასრულწლოვანი შვილის სახელზე აღრიცხული ქონება, მამამისს აჩუქა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული ბინიდან

მოძალადე მამის და ბაბუის გამოსახლების შესახებ მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ მამის მხრიდან არასრულწლოვან შვილზე ძალადობის ფაქტებზე წარდგენილი იქნა არაერთი მტკიცებულება. შვილის სახელზე აღრიცხული ქონების გაჩუქებამდე, მამა შვილზე ძალადობდა სისტემატურად: კვირაში ორჯერ, ან სამჯერ აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. მოძალადე მამა 2018 წლის თებერვალში სასამართლომ დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. „თანასწორობის მოძრაობამ" სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა შეგებებული საჩივარი, რომლითაც ითხოვს ბინიდან მამის და ბაბუის გამოსახლებას.

პოტენციურად დარღვეული უფლება: საკუთრების უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 16

2019 წლის 14 მაისს „თანასწორობის მოძრაობას" მომართეს ლ.ტ-მ და ა.გ-მ, რომლებიც არიან გეი მამაკაცები. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე უცნობმა პირებმა ჰომოფობიური მოტივით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რადგან ფემინურად ეცვათ და მკვეთრ მაკიაჟს ატარებდნენ.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) დაიწყო.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 17

2019 წლის 25 მაისს თბილისში, მეტროსადგურ 300 არაგველის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი პირების მიერ განხორციელებული მუქარის ფაქტთან დაკავშირებით „თანასწორობის მოძრაობას“ ნ.წ-მ და გ.ფ-მ მომართეს. ნ.წ-ს თქმით, 2019 წლის 24 მაისს 10-მდე უცნობი მამაკაცი, რომელიც სავარაუდოდ ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა, ნ.წ-ს და გ.ფ-ს დანახვისთანავე აგრესიულად განეწყო, დაიწყო გინება, ჰომოფობიური და სიძულვილის ენის, დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენება- „პიდარასტები“, „ქათმები“. ნ.წ-მ და გ.ფ-მ სცადეს ტერიტორიის დატოვება, თუმცა თავდამსხმელები მისდევდნენ გინებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ერთ-ერთ მათგანს ხელში მინის ბოთლი ეჭირა. გაქცევის მომენტში ნ.წ-ს და გ.ფ-ს ქვა ესროლეს. ნ.წ-მ და გ.ფ-მ მოახერხეს პოლიციაში დარეკვა. პოლიციის მოსვლამდე ესმოდათ გინება და მუქარა.

ნ.წ-ს თქმით, პოლიციის განყოფილებაში მისვლისთანავე მისი და გ.ფ-ს მიმართ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰყონდა არასათანადო მოპყრობას. მათ შორის, ნ.წ და გ.ფ პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ დილის ხუთ საათამდე, მოთხოვნის მიუხედავად, უარი ეთქვათ წყლის მიტანასა და შენობის დატოვებაზე. პოლიციის თანამშრომლები მათ ეპყრობოდნენ აგრესიულად, გამოკითხვის პროცესში ნ.წ-ს და გ.ფ-ს მიმართ ავლენდნენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა). ამასთან, ბრალდების მხარემ დაიწყო საქმის შესწავლა შესაძლო სიძულვილის მოტივზე.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 18

2019 წლის 3 ივნისს „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართა კ.ფ-მ, რომელიც აცხადებდა, რომ ნაცნობი ემუქრებოდა. კერძოდ, მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ცემით ემუქრებოდა. კ.ფ-ს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, რომ ამ პირს შეიძლება გაემჟღავნებინა ინფორმაცია მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

ორგანიზაციამ პოლიციას მიმართა. მუქარის განმახორციელებელ პირს კ.ფ-თან კონტაქტი აეკრძალა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 19

2019 წლის 20 ივნისს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ტრანსგენდერმა ქალმა კ.ჯ-მ. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისში, წერეთლის

გამზირზე ტრანსფობიური მოტივით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რადგან მას ფემინურად ეცვა და მკვეთრ მაკიაჟს ატარებდა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) დაიწყო.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 20

2019 წლის 13 ივლისს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა კ.კ-მ, რომელიც აცხადებდა, რომ ი.ნ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ცნობების გავრცელებით ემუქრებოდა და სანაცვლოდ ფულის გადახდას ითხოვდა. კ.კ-მ მას გადაურიცხა თანხის ნაწილი- 500 ლარი.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით (გამოძალვა) დაიწყო. ი.ნ დაკავებულ იქნა და აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა საპატიმრო გირაო 6000 ლარის ოდენობით. აგრეთვე, კ.კ-ს სასარგებლოდ დაეკისრა ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალა პირობით მსჯავრად 2 წლიანი გამოსაცდელი ვადით და დაეკისრა ჯარიმის გადახდა 2000 ლარის ოდენობით.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საკუთრების უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 21

2019 წლის 2 აგვისტოს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ლ.ტ-მ, რომელიც აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების შეცვლის მიზნით სიცოცხლის მოსპობითა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ ცნობების გავრცელებით პაკისტანის მოქალაქე ემუქრებოდა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარა) მუხლით დაიწყო.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე № 22

2019 წლის 11 აგვისტოს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქემ ხ.ე-მ, რომელიც აცხადებდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იყო. კერძოდ, მასზე ძალადობდნენ დედა, მამა და ძმა. აგრეთვე, მცირეწლოვნების ასაკში განიცდიდა სექსუალურ ძალადობას ბიძის მხრიდან. ხ.ე-ს არ აძლევდნენ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც

ოჯახმა მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ შეიტყო, ძალადობამ იმატა. ხ.ე-ს აიძულებდნენ ქორწინებას. მან მოახერხა საქართველოში გამოქცევა, თუმცა ჩამოსვლიდან დაახლოებით 3 საათში შემთხვევით დაინახა მამა და ძმა, რომლებიც მის საძებნად იყვნენ ჩამოსულები.

ხ.ე-ს თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, რადგან ჩეჩნური ადათ-წესების თანახმად, სახლიდან გამოქცევისა და ოჯახის შერცხვენის გამო, ოჯახს სისხლი უნდა აეღო.

ბენეფიციარის სურვილის შესაბამისად, ორგანიზაციამ პრევენციული ზომების გასატარებლად განცხადებით მიმართა პოლიციას. პოლიციის მიერ გადამოწმდა აღნიშნული პირების მიერ საზღვრის კვეთის ფაქტი და გამოცემულ იქნა შემაკავებელი ორდერები. აგრეთვე, მოხდა მათი საზღვრის კვეთაზე კონტროლის დაწესება, უბნის ინსპექტორ გამომძიებლები გაფრთხილებულ იქნენ, რომ ეკონტროლებინათ მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილი.

ხ.ე უსაფრთხოდ გადავიდა სხვა ქვეყანაში.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 23

2019 წლის 14 აგვისტის „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ზ.ხ-მ, რომელიც არის ტრანსგენდერი ქალი. ზ.ხ-ს თქმით, მას და მის მეგობარს ტრანსფობიური მოტივით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, აგრეთვე, დაემუქრნენ.

ზ.ხ პოლიციის მხრიდან არამართლზომიერ ქმედებებზეც საუბრობდა, რის თაობაზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექტიცში საჩივრის შეტანა იგეგმებოდა, თუმცა ზ.ხ-მ აღარ მოინდომა საქმის გაგრძელება.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პატივი და ღირსება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 24

2019 წლის 18 სექტემბერს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა გ.ფ-მ, რომელიც აცხადებდა, რომ უცნობი პირი მის საცხოვრებელ ბინაში შეჭრას ცდილობდა. კერძოდ, აბრახუნებდა კარზე, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა და ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებდა. აღნიშნულმა პირმა გ.ფ-ს საცხოვრებელი ბინის ფანჯარა ჩაამტვრია.

საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა). იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ამსრულებელი არასრულწლოვანი იყო (14 წლის), გაუფორმდა განრიდების ხელშეკრულება, რომლითაც მას დაევალა ბრაზის მართვის კურსების გავლა, ასევე თავშესაფარში მუშაობა. საქმეზე გამოიკვეთა დისკრიმინაციული მოტივი.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ.რუსთავი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 25

2019 წლის 21 სექტემბერს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა ლ.ტ-მ, რომელმაც განაცხადა, რომ ბარში შელაპარაკება მოუვიდა ბარის დაცვის თანამშრომლებთან, რის შემდეგაც გამოძახებულ იქნა პოლიცია. ლ.ტ-ს თქმით, პოლიციამ ჰომოფობიური მოტივით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის შემდეგ, ორგანიზაციის იურისტები დაუკავშირდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, თუმცა ლ.ტ-მ განაცხადა, რომ არ სურდა საქმის გაგრძელება.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ.თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 26

2019 წლის 29 ოქტომბერს „თანასწორობის მოძრაობას“ მომართა რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ ჩ.მ-მ, რომელიც არის ლესბოსელი ქალი. მისი თქმით, სექსუალური ორიენტაციის გამო ძმისგან ძალადობას განიცდიდა. აგრეთვე, ძმა ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით. ჩ.მ-მ მოახერხა სახლიდან გამოპარვა და საქართველოში ჩამოსვლა.

ჩ.მ-ს სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია, რის შემდეგაც პრევენციული ღონისძიების გატარების მიზნით ორგანიზაციამ პოლიციას მიმართა. პოლიციის მიერ სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა ჩ.მ-ს მამა და ძმა. აგრეთვე, მათ განემარტათ, რომ საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში მოხდებოდა შემაკავებელი ორდერის გამოცემა.

ჩ.მ-მ საქართველოს ტერიტორია უსაფრთხოდ დატოვა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ.თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

საქმის სტატუსი: დასრულებლი

საქმე № 27

2018 წლის 3 აპრილს პოლიტიკოსმა ბ.დ-მ „თანასწორობის მოძრაობის“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს ლევან ბერიანიძეს საჯაროდ, ტელევიზიაში ინტერვიუს დროს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და „პიდარასტი“ უწოდა.

„თანასწორობის მოძრაობის“ იურისტების მიერ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეტანილ იქნა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელე ითხოვდა პატივისა და ღირსების შელახვის დადგენას და კომპენსაციის სახით 500 ლარის დაკისრებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ბ.დ-ს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 1 ლარის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. 2019 წლის 31 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საჩივარი და ბ.დ-ს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 500 ლარის გადახდა დააკისრა.[29]

პოტენციურად დარღვეული უფლება: პატივი და ღირსება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ქ.თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

[29]. სააპელაციომ ბურჯანაძის პარტიის წევრს ლევან ბერიანიძის შეურაცხყოფისთვის ზიანის ანაზღაურება დააკისრა, http://www.equality.ge/4689

საქმის სტატუსი: დასრულებული

საქმე № 28

2019 წლის 5 ნოემბერს „თანასწორობის მოძრაობის“ დაუკავშირდნენ ტრანსგენდერი ქალები თ. ქ. და მ.კ. რომლებიც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში იქნენ მიცემული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა), რაც ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარამდე ან/და პატიმრობას 14 დღემდე.

2019 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 02:00 საათზე, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერ ქალებთან მივიდა სამი მოქალაქე, ქალბატონები ლ.კ, ლ.ო და მამაკაცი ვ.კ, რომლებმაც ტრანსფობიური მოტივით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ტრანსგენდერ ქალებს. კერძოდ, დასცინოდნენ, აგინებდნენ და ეკითხებოდნენ, რომელს ერქვა მამაკაცის სახელი. ამ შეურაცხყოფის საპასუხოდ, ტრანსგენდერმა ქალებმა გამოიძახეს პოლიცია, პოლიციამ კი ადგილზე მისვლის შემდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა, როგორც აღნიშნული სამი პიროვნების, ისე ტრანსგენდერი ქალების მიმართაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით შეწყვიტა სამართალწარმოება ტრანსგენდერი ქალების თ.ქ სა და მ.კ-ს მიმართ, ხოლო ორი პირი- ლ.კ და ლ.ო ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად წვრილმანი ხულიგნობისთვის და ჯარიმის სახით 500-500 ლარის გადახდა დაეკისრათ.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პატივი და ღირსება

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირები

საქმის სტატუსი: დასრულებული

დასკვნა

დასკვნა და რეკომენდაციები ეფუძნება კანონმდებლობისა და „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ ლგბტ+ ადამიანების უფლებების დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევების ანალიზს. ანგარიში მოიცავს გეი კაცების, მსმ-ების, ტრანს* და სხვა ქვიარ ადამიანების უფლებების დარღვევის 28 დოკუმენტირებულ შემთხვევას.

ქვიარ ადამიანების უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებულ ფორმა საჯარო სივრცეებში (ქუჩაში, ბარში და ა.შ) სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაა. გარდა ამისა, ხშირია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის ან/და პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გავრცელების მუქარის შემთხვევები.[30]

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ლგბტ+ თემის წევრები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ოჯახში ჩადენილი ჰომო- და ტრანს*ფობიური ძალადობის მიმართ, თუმცა ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. სახელმწიფო პოლიტიკა არ ითვალისწინებს სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობასთან პრევენციის/ბრძოლის სპეციფიკას. შესაბამისად, ქვიარ ადამიანები ხშირად განიცდიან სხვადასხვა სახის ძალადობას ოჯახის წევრების მხრიდან.[31] სისტემარიური ძალადობის გამო თემის წევრები იძულებულები არიან დატოვონ ოჯახები, რაც დაკავშირებულია განათლების მიღების შესაძლებლობების დაკარგვასთან, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტასა და უსახლკარობის რეალურ რისკთან.[32]

წინა წლების ანგარიშების მსგავსად, წინამდებარე ანგარიშიც მოიცავს პოლიციის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ არამართლზომიერ ქმედებებს.[33] გამოწვევად რჩება სამართალდამცავ სისტემაში არსებული ჰომო- და ტრანს*ფობიური განწყობები. პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულების, სტიგმისა და ნდობის

[30] . იხილეთ საქმე № 9, 18, 20, 21

[31] . იხილეთ საქმე № 10, 12, 15, 22, 26

[32]. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე- საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები, 2018 წ, https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf

[33] . იხილეთ საქმე № 17, 23, 25

ნაკლებობის გამო ლგბტ+ ადამიანები თავს არიდებენ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვას.[34]

დოკუმენტში წარმოდგენილია ორი შემთხვევა, როცა დანაშაულის ამსრულებელი/სავარაუდო ამსრულებელი არასრულწლოვანი პირია.[35] მათ შორის, საქმეზე №24 გამოიკვეთა დისკრიმინაციული მოტივი. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტიანი, არასაკმარისი ინფორმაციული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში ჰუმანიზმის, შემწყნარებლობის დამკვიდრებას.

რეკომენდაციები

კანონმდებლობის დახვეწისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია პასუხისმგებელმა უწყებებმა კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ ცვლილებები.

<u>შენიშვნა:</u> წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი ასახულია 2018 წლის ანგარიშშიც,[36] რადგან სახელმწიფოს მიერ მათი აღსრულება ამ დრომდე არ მომხდარა.

საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს:

- საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო დამცველის

[34] . იხილეთ საქმე № 2, 10, 23, 25

[35] . იხილეთ საქმე № 6, 24

[36] . 2018 წლის ეროვნული ანგარიში გეი კაცების, სხვა MSM-ებისა და ტრანს* ადამიანების უფლებების (განსაკუთრებით, ჯანმრთელობის უფლების) დარღვევის შესახებ, http://www.equality.ge/3651

გაძლიერებას. აგრეთვე, აუცილებელია კანონში გაიწეროს დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის თაობაზე საქმის წარმოების თაობაზე საქმის წარმოების ვადები;

- საპარლამენტო კონტროლის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებისა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება;

- „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსში“ ცვლილებების შეტანა, რომლითაც კოდექსს დაემატება სიტყვები „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“. ამასთან, წევრის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა განისაზღვროს ეთიკის საბჭოს ვალდებულებად;

- სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანა, რომელიც გააუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შიდსის შეყრისთვის;

- საქართველოს კანონში „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონში იმგვარი ცვლილებების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და პაციენტის საუკეთესო ინტერესებს;

- საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ტრანსგენდერ ადამიანებს სამართლებრივ აქტებში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის შეცვლის შესაძლებლობას მისცემს;

- ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება;

- დისკრიმინაციისა და სტიგმის დასაძლევად საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს და საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უზრუნველყონ:

- სექსუალური ორინტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება;

- სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების ეფექტიანი გამოძიება; გამოძიების მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების შემუშავება;

- პოლიციელებისათვის/პროკურორებისთვის გათვალისწინებულ სასწავლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების შეტანა, რომელიც მათ დაეხმარება სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებების იდენტიფიცირებაში, აგრეთვე, სავარაუდო მსხვერპლის/დაზარალებულის, მოწმის დახმარებაში;

- კომუნიკაციის/თანამშრომლობის გაძლიერება ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა უზრუნველყოს:

- სამედიცინო დაწესებულებებში კონფიდენციალობის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება; კონფიდენციალობის პოლიტიკის დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

- სამედიცინო დაწესებულებებში, ექიმებში, სამედიცინო პერსონალსა და სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ პირებში ლგბტ+ ადამიანების მიმართ

ცნობიერებისა და მგრძნობელობის ამაღლება; შესაბამისი ღონისძიებების (მაგ. ტრენინგები, სასწავლო კურსები, შეხვედრები) დაგეგმვა;

- სამედიცინო მომსახურეობის მიღებისას გეი კაცების-ე, სხვა MSM-ებისა და ტრანს* ადამიანების სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფა;

- კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, აივ ინფექციაზე სავალდებულო ტესტირების შემთხვევების განსაზღვრა[37] და იმ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცება, რომლებიც შეიძლება გახდეს აივ-დადებითი ადამიანის სამუშაოდან დათხოვის ან მისთვის სამუშაოზე მიღებაზე უარის თქმის საფუძველი;[38]

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით გადახედოს სამედიცინო სახელმძღვანელოებს, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს დისკრიმინაციის წამახალისებელ, მასტიგმატიზებელ მოსაზრებებს ან/და განსაზღვრებებს.

[37] . საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 5
[38] . იქვე, მუხლი 10, პუნქტი 2